სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/197

3 ნოემბერი 2020წ.

ქ. თბილისი

2020 წლის განმავლობაში მოდიფიცირებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 03 ნოემბრის №01-05-02/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში, სადაც 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა მოდიფიცირება უცხოური ენის სასწავლო კურსების („უცხოური ენა 3“ (5 კრედიტი) და „უცხოური ენა 4“ (5 კრედიტი)) დამატების გზით, უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროგრამების დამამთავრებელი სასწავლო წლის სტუდენტთა პროგრამის დროულად დასრულების ინტერესის დაცვა.
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად, ამავე პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტებისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, შეთავაზებულ იქნეს „უცხოური ენის ინტენსიური კურსის“ (10 კრედიტი) ერთი სემესტრის განმავლობაში დაძლევის შესაძლებლობა, ამ თვალსაზრისით პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის სრული უზრუნველყოფის პირობებში.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**